საიამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საკითხზე სამართლებრივი დასკვნის პრეზენტაცია მოაწყო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში საიამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საკითხზე მომზადებულ სამართლებრივი დასკვნების პრეზენტაცია გამართა.

დასკვნა პროექტის Ḍ□□□□□□□□□□□□□N□□□□□□ მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საგრანტო პროგრამის საზოგადოებრივი

მეთვალყურეობა“-ს ფარგლებშია მომზადებული.

პირველი საექსპერტო დასკვნა განიხილავს ბთჯ მილსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის 40 მილიონიან საგრანტო პროგრამაზე გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივ ხარვეზებს. აღნიშნული კვლევა მიმოიხილავს სამართლებრივ ჭრილში საგრანტო პროგრამის განხორციელების პერიოდს - დაწყებული ხელშეკრულების დადების მომენტიდან მის პრაქტიკაში განხორციელების ჩათვლით.

პრეზენტაციაზე ასევე წარმოდგენილი იყო სამართლებრივი ანალიზი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება Ḍ□□□□□□□□ პროექტთან □ დაკავშირებით პროექტის მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება რა შედეგების მომტანია აღნიშნული დოკუმენტი საქართველოსათვის.

ღონისძიებას სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.